

## საქართველოს კანონი

### ადმინისტრაციულ – სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ

#### მუხლი 1.

ამ კანონის მიზანია ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, იმ პირების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და სახდელისაგან განთავისუფლება, რომელთაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი 1984 წლის N 12 მუხლი 421) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2007 წლის 1 დეკემბრამდე და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა.

#### მუხლი 2.

1. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და სახდელისაგან განთავისუფლდნენ პირები, თუ ამ კანონის ამოქმედებამდე მათ მიმართ არ აღსრულებულა დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2007 წლის 1 დეკემბრამდე.

#### მუხლი 3.

1. ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება გულისხმობს პირის განთავისუფლებას როგორც ჯარიმისგან, ასევე საურავისგან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განთავისუფლება ვრცელდება ჯარიმისა და საურავის მხოლოდ გადაუხდელ ნაწილზე.

#### მუხლი 4.

1. ამ კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებული პირი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ სახდელდადებულად.

#### მუხლი 5.

1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა არ დაიწყონ, აგრეთვე შეწყვიტონ უკვე დაწყებული იმ ადმინისტრაციული საქმეების წარმოება, რომელიც მიეკუთვნება ამ კანონის რეგულირების სფეროს

2. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს სასამართლოებმა შეწყვიტონ მათ წარმოებაში არსებული ამ კანონის რეგულირების სფეროს მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა.

## **მუხლი 6.**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი